



634.8 (C. 922) (022)

საქართველოს  
კულტურის მინისტრი

ვ. განთარიძე

კარგი კონცერტი  
ცოდნამონ ჩოდოყავაზე

K 118.672  
3

შამოხვევლება  
„საბჭოთა საქართველო“  
თბილისი  
1965




634.8 (c41)

634.8 (47.922) (092 ହିନ୍ଦୁମ୍ବାଶ୍ଵିଲୀ)

ଫ 228

ଚିନିମଧ୍ୟବାହୀ ମନ୍ଦିରରୁକ୍ତିକାଳି ଗାନ୍ଧିଜୀବୀଜୀବିଲାଙ୍ଗିନା ସାହାରଣ୍ୟ-  
ଲାଙ୍କ ମେବନିଏରୀବାତା କ୍ଷାଦ୍ୟମିଳିଲା ନାମଦିଲାଙ୍ଗି ଚିତ୍ତରିଲା, ମେବନିଏରୀବୀ-  
ଦିଲା ଦାମ୍ଭିଶ୍ଵରୀବୀଜୀବିଲାଙ୍ଗି ମନ୍ଦିରାଚିତ୍ତରିଲା, ମେବନିଏରୀବାତା ପୁରୀମଧ୍ୟବ-  
ାହୀରିଲା ସାହାରଣ୍ୟମନ୍ଦିରାକୁ ମିଳେଇଲାଙ୍କ ଏ ହିନ୍ଦୁମ୍ବାଶ୍ଵିଲୀରୁ ପ୍ରଥମରୀବା ଦା  
ମନ୍ଦିରାଚିତ୍ତରିଲା.





სოლომონ მიხეილის ძე ჩოლოყაშვილი (1883—1944)

## სოლომონ მიხეილის და ჩოლოყაზილის ცხოვრება და მოღვაწეობა

ცნობილია, რომ მევენახეობა ქართველ ხალხს დასაბამი-  
დანვე დიდ ეროვნულ სიამაყედ მიაჩნდა. მევენახეობის ისეთ  
კულტურულ ქვეყანაში, როგორიცაა საქართველო, ახლაც  
იშვიათია აღამიანის მუშაობა-მოღვაწეობის სფერო, რომელიც,  
პირდაპირ თუ არაპირდაპირ, დაკავშირებული არ იყოს ამ მე-  
ტად კეთილშობილ დარგთან.

ქართველი ერის მატერიალური კულტურის საგანძურრში  
მევენახეობას ყოველთვის ოვალსაჩინო ადგილი ეჭირა და უჭი-  
რავს დღესაც. ვაზი მუდამ გამოირჩეოდა და გამოირჩევა არა  
მარტო მრავალფეროვანი, აღამიანისათვის შაღალი კვებითი ღი-  
რებულების პროდუქტიულობით, არამედ მეტად თვისებებით, რის გამოც ის მუ-  
შაობის საინტერესო ობიექტს წარმოადგენს მრავალი მეცნიე-  
რისა და პრაქტიკოსისათვის. მევენახეობის ყველა ქვეყანაში,  
და მათ შორის საქართველოშიც, განსაკუთრებით უყვართ ვაზი,  
ამიტომაც არის, რომ ხალხი დიდი სიყვარულითა და პატივის-  
ცემით მოიხსენიებს წინამორბედებს, რომლებმაც ამ დარგში  
მოღვაწეობით გარკვეული კვალი დატოვეს.

საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობა მეტად მდიდარია  
წინამორბედებით, მოამაგე აღამიანებით, რომლებმაც თავიან-  
თი ცხოვრება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ამ დარგის  
შემდგომ აღმავლობას და განვითარებას დაუკავშირეს. მათ  
შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს მეც-  
ნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, მეცნიერების დამსახუ-  
რებულ მოღვაწეს პროფესორ სოლომონ მიხეილის ძე ჩოლო-  
ყაზილს. დიდხანს არ წამლება ხსოვნა ვაზის მოყვარული

აღამიანის და მევენახისა, რომელმაც გარკვეული წვლილი შე  
იტანა მევენახეობის აღმავლობის საქმეში. საქართველოს შრა-  
ვალ სოფელში ახლაც შემონახულია მისი ხსოვნა,  
რომელმაც უკეთესი ჯიშები და სხვა მოწინავე ღონისძიებები  
დანერგა მევენახეობაში. სოლომონის ძირითადი მოღვაწეობის  
პერიოდს დაემთხვა სამეცნიერო-საკვლევი მუშაობისა და კად-  
რების მომზადების ორგანიზებულად მოწყობა საქართველოში,  
ამიტომ ის სავსებით მართებულად ითვლება საქართველოს სა-  
სოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მევენახეობის კათედრის  
ფუძემდებლად და მევენახეობა-მეღვინეობის საკავშირო სა-  
მეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დაარსების მთავარ ორგანი-  
ზატორად საქართველოში.

საქართველოს წამყვანი მევენახე სპეციალისტები, რომ-  
ლებიც სხვადასხვა საპასუხისმგებლო უბანზე მუშაობენ, ვერ  
დაივიწყებენ ამ დიდი ერუდიციის მქონე მეცნიერს, საუკეთე-  
სო აღმზრდელსა და პედაგოგს, მაღალი კულტურის მოქალა-  
ქესა და საზოგადო მოღვაწეს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ძირითადი შრომების გა-  
მოქვეყნება მას მოუხდა ერთგვარი გარდატეხის პერიოდში,  
როდესაც მნიშვნელოვანი ცვლილებები და ძვრები ხდებოდა  
როგორც სახალხო მეურნეობაში, ისე მეცნიერებაში შემდგო-  
მი მუშაობის სწორი მიმართულების დასადგენად.

ამიტომ, ამ დიდი ბუნების აღამიანის მოღვაწეობის სრუ-  
ლი შეფასება მარტო ამ შრომებისა და მევენახეობის იმზრო-  
ინდელი მდგომარეობის მიხედვით არ შეიძლება. მისი დახასი-  
ათებისათვის აუცილებელია აგრეთვე მასთან პირადული კონ-  
ტაქტების ზოგიერთი მომენტების აღდგენა როგორც მის საერ-  
თო საქმიანობასთან, ისე კერძო ცხოვრებასთან დაკავშირებით.

ამ მოყლე მიმოხილვით არ ამოიწურება თვალსაჩინო ქარ-  
თველი მოღვაწის — სოლომონ მიხეილის ძე ჩოლოყაშვილის  
ცხოვრება და მრავალმსრივი შემოქმედებითი მუშაობა. მასში  
თავმოყრილი და სისტემაში მოყვანილია ის მასალები, რომლე-  
ბიც სპეციალური რკვევის გარეშე დაგროვდა ამ სტრაქონების  
ავტორის — მისი მოწაფის, თანამომუშავისა და მეგობრის გან-  
კარგულებაში ამ სახელოვან აღამიანზე, იმ დროის მევენახებ-

ში გამორჩეულსა და საზოგადოებისათვის უაღრესად საყვარელ  
და მოწინავე პიროვნებაზე.

ინტერესმოქლებული არ არის მოვიგონოთ ის პერიოდი,  
როდესაც ყალიბდებოდა მისი ბუნება, შეხელულება ცხოვრე-  
ბასა და საზოგადოებაზე. აქ მხედველობაში გვაქვს ის ღრო,  
როდესაც მეფის რუსეთი მაქსიმალურად ზღუდავდა საქართ-  
ველოში სასოფლო-სამეურნეო განათლების საქმეს; ის აყენებ-  
და რა მოსახლეობას უფლებრივ ნორმებში, ძლიერ აფერხებ-  
და ერის სამეურნეო-ეკონომიკური ხსიათის თვითწამოწყებებს.  
მიუხედავად ასეთ პირობებში და თავადაზნაურთა გარემოცვა-  
ში აღზრდისა, მას საზოგადოებისადმი სამსახური, საქმისადმი  
კეთილსინდისიერი დამკიდებულება, პრინციპულობა, ერის  
კეთილდღეობისათვის ზრუნვა ყოველთვის სასიამოვნო მოვა-  
ლეობად მიაჩნდა. ის ნამდვილი პატრიოტი და ინტერნაციონა-  
ლისტი იყო, დიდი ავტორიტეტით სარგებლობჲა არა მარტო  
ქართველებში, არამედ რუსებში, უკრაინელებში, სომხებში,  
აზერბაიჯანელებში და სხვა ეროვნების სპეციალისტებში.

ეს ფიზიკურად სუსტი აგებულების აუამიანი გამოირჩეო-  
და, ერთი მხრივ, სიმკაცრითა და მრისხანებით, მძაფრი და  
მკვესავი მსჯელობით, ხოლო, მეორე მხრივ, დიდი ჰუმანურო-  
ბით და ამყოლი ხსიათით.

\* \* \*

სოლომონ მიხეილის ძე ჩოლოყაშვილი დაიბადა 1883  
წლის პირველ ივნისს, სოფელ ბაკურციხეში. მისი შვილი ეკა-  
ტერინე და და ნატაშა დაბადების ამ თარიღს სწორად არ მიიჩ-  
ნევენ და თვლიან, რომ იგი დაიბადა 1884 წლის ნოემბერში.  
მაგრამ ჩვენ ვეყრდნობით პირადი საქმის მასალებს და პირველ  
ვარიანტს ძალაში ვტოვებთ. სამწუხაროა, რომ მისი ბავშვობის  
პერიოდზე ცოტა რამ ვიცით.

სოლომონ ჩოლოყაშვილის დედა იმდროისათვის საკმაოდ  
განვითარებული ყოფილა, მამა — სპეციალობით იურისტი,  
მევენახეობის დარგის დიდი მოყვარული. პირველდაწყებითი

განათლება სოლომონმა სახლში მიიღო, ხოლო შემდეგ მიაბარეს თბილისის გიმნაზიის პანსიონატში.

როგორც ირკვევა, სოლომონის დედა ადგენდა დღიურებს იმის შესახებ, თუ როგორი წესითა და მზრუნველობით ზრდიდა და უვლიდა ის თავის შვილს, პატარა სოლომონს. თვით პროფესორ ჩოლოყაშვილს უკვე გვიან, უნივერსიტეტში მუშაობის დროს, ეს დღიურები გადაუცია სპეციალისტებისათვის, როგორც საინტერესო მასალა პედაგოგიური და პედიატრიული თვალსაზრისით.

დღიურებში დედა განსაკუთრებით აღნიშნავდა ბავშვის მიღრეკილებას სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისაღმი, რომელიც სულ მიწას ჩიქენიდა და ბალ-ვენახში გარბოდა. დედის განსაკუთრებული ზრუნვა შვილისაღმი საკვირველი არ არის, მაგრამ დღიურების შედეგენა, ალბათ, გამოწვეული იყო სოლომონის სუსტი აგებულების გამო. ამას თან დაერთო მისი დაავადება ყვავილით, რამაც ის ცალი თვალით დააბრმავა. ეს დიდი ტრაგედია იყო მთელი ოჯახისათვის და განსაკუთრებით დედისათვის, რომელიც აღრე გარდაიცვალა. მაშინ სოლომონი 12 წლისა იყო. დედის ზრუნვას მოკლებული ბავშვის ჯანმრთელობისათვის აუტანელი პირობები პანსიონატში საფუძველი შეიქნა იმისა, რომ ის მიებარებინათ იალტაში — ნიკიტის მებაღეობა-მევენახეობის სასწავლებელში, სადაც დაჰყო თოხნახევარი წელი. გამოსაშვებ გამოცდამდე რამდენიმე თვით აღრე, 1904 წელს, გაფიცვებში მონაწილეობისათვის სოლომონ ჩოლოყაშვილი გარიცხეს სასწავლებლიდან. ამგვარად, მას დაეკატა ყოველგვარი გზა რუსეთში განათლების მისაღებად. ბოლოს ასეთი მდგომარეობიდან გამოსავალიც იპოვა. ის კარგად ფლობდა გერმანულ ენას და გაღაწყვიტა საზღვარგარეთ წასვლა. ჩააბარა შესასვლელი გამოცდები კლისტერნეიბურგის (ვენა) მევენახეობა-მეხილეობისა და დეკორაციული მებაღეობის უმაღლეს სკოლაში და მიღებულ იქნა მევენახეობა-მეღვინეობის განყოფილებაზე, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1907 წელს. სამეცნიერო მუშაობის სტაუისათვის ის დარჩა დასახლებული უმაღლესი სკოლის სამეცნიერო ინსტიტუტის ენოქიმიისა და მიქრობიოლოგიის ლაბორატორიაში, პროფე-

სორ ზეიფერტისა და რაიშის ხელმძღვანელობით, ხოლო პრაქტიკული ჩვევების დასაუფლებლად — კატუსის სანიმუშო მეურნეობაში. 1908 წელს, 25 წლის ახალგაზრდა სპეციალისტი ევროპულ განათლებას და სასოფლო-სამეურნეო ცოდნას საკმაოდ დაუფლებული ბრუნდება სამშობლოში.

მისთვის ფართო ასპარეზი გაიშალა სოფლის მეურნეობაში მოღვაწეობისათვის. მან მრავალი მიწვევაც მიიღო, რომელიც როგორც მატერიალურად, ისე მომავალი კარიერისათვის ბევრს იზიდავდა, მაგრამ ის კი სიამოვნებით არ შეხვდა ასეთ მიწვევებს. მან უარი განაცხადა წინანდლისა და მუკუჭნის მეურნეობაში მუშაობაზე. სოლომონ ჩოლოყაშვილს უფრო იზიდავდა სახალხო საზოგადოებრივი საქმე და, ამიტომ, აირჩია მიწამოქმედების დეპარტამენტის ხაზით მუშაობა და კიდეც დანიშნეს ოძისის მამულის გამგედ.

ამ მეურნეობაში წარმოდგენილი იყო მევენახეობა, მეხილეობა, სანერგე და სხვა. სოლომონის ამ არჩევანში უდიდესი როლი შეასრულა დიდმა პატივისცემამ და სიყვარულმა ზაქარია ერისთავისადმი, რომლის სურათი მას სიკვდილამდე ჰქონდა და თავის სამუშაო ოთახში.

როგორც ცნობილია, ზაქარია ერისთავმა, რომელსაც ეკუთვნოდა ოძისის მამული, ის სიცოცხლეშივე ხალხს განასცა. სოლომონმა ეს დიდ სახალხო-საზოგადოებრივ დამსახურებად ჩათვალა და გაზარდვიტა ხალხის საკეთილდღეოდ თვითონაც ამ მამულს ჩადგომოდა სათავეში და ეზრუნა მისი განვითარებისათვის.

1910 წელს ამ მამულში მან გახსნა მებაღეობის სკოლა-ინტერნატი, რომელსაც ხელმძღვანელობდა 1918 წლამდე, და სპეციალურ საგნებს ასწავლიდა უფროს კლასებში.

სოლომონ ჩოლოყაშვილის მიერ გამოქვეყნებული პირველი შრომები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქართველოს მევენახეობის კულტურული დონის ამაღლებაში, ემთხვევა მისი ოძისში მუშაობის პერიოდს. ამ შრომებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ფილოქსერა და მასთან ბრძოლა“, რომელიც ცალკე ბროშურად იქნა გამოცემული.

1918 წელს სკოლა დაიხურა და სოლომონ ჩოლოყაშვილი გადმოყვანილ იქნა თბილისში ყარააიზის სამმართველოს ოწმუნებულის თანაშემწევ, რომლის გამგებლობაში შედიოდა საცდელი მინდორი, სარტყავი ჭელი, სათიბები და სხვა. ამ პერიოდში თბილისში არსებობდა უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო კურსები, სადაც 1919 წელს მევენახეობის კურსის ხელმძღვანელად მიწვეული იყო სოლომონ ჩოლოყაშვილი. ის აქ მუშაობდა 1923 წლამდე — კურსების მუშაობის შეწყვეტაზე. 1920 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის აგრძნომიულ ფაკულტეტზე შემოღებულ იქნა მევენახეობის სავალდებულო კურსი, სადაც ამ უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო საბჭოებმა ის აირჩიეს ლექტორად და მევენახეობის კურსის ხელმძღვანელად. ამ პერიოდში ეყრდნობა საფუძველი სოლომონ ჩოლოყაშვილის ფართო ასპარეზზე გამოსვლას უმაღლეს სკოლებში მოღვაწეობისათვის.

მართლაც, ის სიცოცხლის უკანასკნელ ღლემდე გატაცებით ზრუნავდა მევენახეობის კათედრის მუშაობის გაუმჯობესებისათვის, ყოველთვის ახლოს იყო თანამშრომლებთან, სტუდენტებთან და მათთან დამოკიდებულებაში ყოველთვის იგრძნობოდა დიდი მოამაგე, აღმზრდელი და ხელმძღვანელი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ის წარმატებით ათავსებდა სამეცნიერო პედაგოგიურ და სამეურნეო ორგანოებში მუშაობას.

1921 წლიდან მას ვხედავთ სხვადასხვა თანამდებობაზე. იყო საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის უფროსი სპეციალისტი, ამავე კომისარიატის მევენახეობისა და მეღვინეობის განყოფილების გამგე. 1923 წელს საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მოსკოვში მან მოაწყო საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის განყოფილება; იყო კონსულტანტად საქართველოს მიწათმოქმედების კომისარიატში; მუშაობდა საქართველოს და ამიერკავკასიის სახელმწიფო ჟაგეგმო კომისიაში და ამიერკავკასიის მევენახეობის ინსპექტორად.

საქართველოს სახელმწიფო  
პოლიტექნიკური ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტებთან  
პრაქტიკაზე საგურამოში.



სოლომონ ჩოლოყაშვილი სტუდენტებს შორის  
(მარჯვნიდან მეორე)

1923 წელს აკადემიკოს ს. გ. ნავაშინისა და პროფესორ ს. ა. ზახაროვის წარდგენით, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ ის აირჩია დოცუნტად, ხოლო 1926 წელს საკვალიფიკაციო კომისიამ დაამტკიცა პროფესორად. შემდეგ ში შეერთდა პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ობილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის და მეცნიერების სწავლებისათვის მუშაობაც მნიშვნელოვნად გაფართოვდა. უმაღლესი სკოლების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი ცალკე გამოეყო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტად.

ამით მევენახეობის კურსის სწავლებამ და კათედრამაც შესა-  
ფრისი სახე მიიღო.

1925 წელს სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლი-  
ტექნიკური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილე-  
ბით სოლომონ ჩოლოყაშვილს მიეცა სამეცნიერო მივლინება  
საზღვარგარეთ — საფრანგეთში, გერმანიასა და ევროპის სხვა  
ქვეყნებში, სადაც დაჰყო წელიწადნახევარი. მუშაობზა გეიზენ-  
გეიმში პროფესორ კრემერთან და მონპელიეში ავაღემიურს  
რავაზთან. ამ პერიოდში ის საფუძვლიანად გაეცნო მევენახეო-  
ბა-მელვინეობის საკვლევ დაწესებულებებს და რაიონებს საფ-  
რანგეთში, გერმანიაში, უნგრეთსა და ავსტრიაში. საზღვარ-  
გარეთიდან დაბრუნების შემდეგ სოლომონ ჩოლოყაშვილს და-  
ავალეს მოხსენების გაკეთება საქართველოს აგრონომიულ სა-  
ზოგადოებაში. ამ მოხსენებას სტუდენტებიც ესწრებოდნენ.

ახალგაზრდები დიდი ინტერესით უსმენდნენ. საზღვარგა-  
რეთ მიღებულ შთაბეჭდილებებს, რომლებსაც მომხსენებელი  
ავსებდა ცოცხალი მაგალითებით და მომავალი მუშაობის გზე-  
ბის დასახვით. განსაკუთრებით მახსოვს ერთ შეკითხვაზე მისი  
პასუხი. შეკითხვა ასეთი იყო: „როგორ არის დაყენებული საზ-  
ღვარგარეთ, და კერძოდ საფრანგეთში, სეტყვის წინააღმდეგ  
ბრძოლის საქმე და რამდენად მიზანშეწონილია ჩვენში გამო-  
ყენებული წესი“? იგულისხმებოდა სეტყვის წინააღმდეგ იმ-  
ღროისათვის ხმარებული შუშხუნები, რომელსაც საუფლის-  
წულო მეურნეობები საფრანგეთიდან თითო ცალს 2—3 მანე-  
თაზ ღებულობდნენ.

სეტყვის წინააღმდეგ ერთი ოპერაციის ჩატარება მეურ-  
ნეობას უჯდებოდა 1500—2000 მანეთი ოქროთი. ამ საკითხის  
შესახებ, — ამბობს სოლომონ ჩოლოყაშვილი. — გამომგზავ-  
რების უკანასკნელ ოვეებში საუბარი მქონდა ავსტრიელ პრო-  
ფესორ-კლიმატოლოგთან, რომელმაც აღნიშნა, რომ საფ-  
რანგეთიდან მიღებულ შუშხუნებს ისეთივე სარგებლობა მო-  
აქვს სეტყვის წინააღმდეგ, როგორც დიდ ხანძარში ჩაფურთ-  
ხებას. ცოტა ხნის შემდეგ, საფრანგეთში ყოფნის ღროს გავიგე,  
რომ აქ უკვე 2—3 წელია, რაც ასეთ შუშხუნებს არ იყენებდ-

ნენ, მაგრამ მას ამზადებდნენ ჩვენთვის და ჩვენისთანებისათვის. ამის შემდეგ ჩვენში ხელი აიღეს სეტყვის წინააღმდეგ შუშნუნების გამოყენებაზე

საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ სოლომონ ჩოლოკაშვილი განაგრძობს ენერგიულ მუშაობას როგორც უმაღლეს სასწავლებელში, ისე სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციების ხაზით. ეწევა სამეცნიერო მუშაობას და აქვეყნებს სტატიებს მევენახეობის აქტუალურ საკითხებზე.

1930 წლიდან, მევენახეობა-მელინეობის საკავშირო-საკვლევი ინსტიტუტის დარსების დღიდანვე, ის ითვლებოდა ამ ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში. სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით, საკავშირო ინსტიტუტი ვადაკეთავა ჯერ ამიერკავკასიის, ხოლო შემდეგ საქართველოს ინსტიტუტად, რომელიც იმ დროს თელავში არსებობდა. სოლომონ ჩოლოკაშვილი ამ ინსტიტუტის სამეცნიერო ნაწილში მოადგილეობდას ათავსებდა მევენახეობის კათედრის გამგის თანამდებობაზე მუშაობასთან.

სამსახურებრივი მოვალეობის გარდა, ის თავისი მოღვაწეობის ყველა პერიოდში აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ მუშაობაში: იყო საქართველოს ექსპერიმენტული აგრონომიის ინსტიტუტის ორგანოს რედფოლეგიისა და საბჭოს წევრი; რესპუბლიკური საწარმოო კოოპერაციის საბჭოს წევრი; კახეთის მევენახეთა კავშირის თავმჯდომარე და მმართველობის საბჭოს წევრი; ის დამაარსებელია კოოპერაციული ამნანაგობისა მდისში, ლამისყანაში, ჭალასა და სხვა სოფლებში. აქტიურ მონაწილეობას იღებდა აგრეთვე მევენახეთა და მეღვინეთა საკავშირო და რესპუბლიკური თათბირების მუშაობაში. მის მიერ იქნა ორგანიზებული მევენახეებისა და მეღვინეების საკავშირო თათბირი, რომელიც ჩატარდა თბილისში, 1931 წელს.

1935 წელს იგი თავს ანებებს კვლევით ინსტიტუტში მუშაობას. აქ მან თვალსაჩინო კვალი დატოვა საქართველოს ვაზის ჯიშების ამპელოგრაფიული შესწავლით, რაც მან ფართო

მასშტაბით დაიწყო და, ძირითადად, ეს მუშაობა საქართველო-  
ში და სხვა მეზობელ რესპუბლიკებში მისი ხელმძღვანელო-  
ბით მიმდინარეობდა. ოფორტუ ცნობილია, შემდეგში ის იყო  
საბჭოთა ამპელოგრაფიის სარეზაქციო კოლეგიის წევრი.



მევენახეებისა და მელვინეების პირველი საკავშირო  
თაობირის მონაწილენი (ს. ჩოლოყაშვილი — მარცხნილან  
მესამე, მეორე ჩივში)

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მევენახეობის კა-  
თედრა ფაქტიურად არ არსებობდა. თუ ამ კათედრის დაარსე-  
ბის თარიღად 1920 წელს მივიჩნევთ, სოლომონ ჩოლოყაშვი-  
ლი შეუცვლელად ხელმძღვანელობდა მას 24 წლის განმავლო-  
ბაში.

მისი შემოქმედებითი მუშაობის დახასიათებისათვის უკა-  
ნასკნელი მოქლე პერიოდი ნაკლები მნიშვნელობის როდია,  
ვიდრე მოღვაწეობის წინა, უფრო ხანგრძლივი დრო. როდესაც  
ასეთ დასკვნას ვაკეთებთ, მხედველობიდან არ უნდა გავუშვათ  
მისი ცხოვრების პირობები, ომიანობისა და სოციალური ვი-

თარებანი, რომელთა დაწვრილებით ანალიზს არ გამოვუდებებით.

საქართველოს მეცნახეობის შემდგომი აღმავლობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის პირვანდელ ბროშურებსა და სტატიებს. ამ შრომებისან აღსანიშნავია: „ფილოქსერა



კათედრის ძირითადი შემადგენლობა სოლომონ ჩოლოყაშვილის გარდაცვალების წინა წლებში (მარცხნიდან) სხედან: ნ. მახარაძე, ს. ჩოლოყაშვილი, ნ. ჩახნაშვილი, დგანან: ვ. ქანთარია, ქ. გეგეშიძე, მ. რამიშვილი.

და მასთან ბრძოლა“; „კახეთის მეცნახეობა-მეღვინეობის თანამედროვე პრობლემები“; „როგორ აღვაღვინოთ ვენახები კახეთში“; „კაპიტალი ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის მრავალწლოვან ნარგავებში“; „მასალები ვაზის ქართული ჯიშების შესწავლისათვის“ და ქართულ, რუსულ და უკრაინულ ენებზე გამოცემული სტატიები.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მის მიერ 1912 წელს გამოცემული წიგნი „ფილოქსერა და მასთან ბრძოლა“.

ამ წიგნის გამოცემა დაემთხვა იმ პერიოდს, როცა საქართველოს და, განსაკუთრებით, კახეთის ვენახებს მუსსის ავლებდა ფილოქსერა, ხოლო მის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებსა და ღონისძიებებს, რომლებიც, ძირითადად, დაფგენილი და პრაქტიკულად გამოყენებული იყო ევროპის ქვეყნებში, ქართველი მევენახები არ იცნობდნენ. ამ შრომის გამოქვეყნებამ, რომელშიაც განზოგადებული იყო იმზროსათვის ჸეცნიერულად დამუშავებული ცოტად თუ ბევრად დასაბუთებული ცნობები ფილოქსერის საკითხებთან დაკავშირებით, უდიდესი როლი შეასრულა მევენახეობის აღდგენის საქმეში, და საფუძვლად დაედო ფილოქსერაგამძლე საძირების დანერგვას საქართველოში.

სოლომონ ჩოლოყაშვილის პროფესორის წოდების დამტკიცების დროს უდიდესი შეფასება მისცა პროფესორ ჭ. მოღებაძემ მის შრომას — „კაპიტალი ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის მრავალწლოვან ნარგავებში“, რომელიც ავტორმა შეადგინა აღნიშნული რესპუბლიკის სახელმწიფო საბალანსო კომისიის დაკვეთით. ამ შრომაში შემუშავებულია მრავალწლოვანი ნარგავების შეფასების ტაქსაციური ორიგინალური მეთოდი და საბოლოოდ შეჯამებულია მათი ღირებულება.

შრომამ ორიგინალობით მეთოდოლოგიური თვალსაზრისით დიდი ინტერესი გამოიწვია ეკონომისტ აგრონომებს შორის.

უკელა მის შრომის ცალკე არ განვიხილავთ, მაგრამ, საერთოდ, ისინი გამსჭვალულია მოწინავე აგროწესების პროპაგანდით, რომლებშიაც მოცემულია სახელმძღვანელო მითითებები მევენახეობის შემდგომი აღმავლობისათვის. ამ შრომებში, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში შემუშავებული ვაზის კულტურის თეორიისა და პრაქტიკის საფუძველზე, ის განსაზღვრავს ვენახების აღდგენისა და შემდგომი განვითარების გზებს საქართველოში.

ვაზის სელექციაში და მევენახეობის აგროტექნიკაში კვლევითი მუშაობის ფესვები შორეულ წარსულთან არის დაკავშირებული და გარკვეული სახით მათ გამოვლინებას აღგილი აქვს მევენახეობის განვითარების ცალკეული ეტაპების გან-

ხმალვასთან დაკავშირებით, მაგრამ სოლომონ ჩოლოყაშვილი ვაზის მეცნიერული სასელექციო მუშაობის ერთ-ერთი ფუძემდებელია საქართველოში.

ამ დასკვნამდე მივღივართ მისი შრომის განხილვის შედეგად, რომელიც მან ღოცენტ ნ. ჩახნაშვილის თანავტორობით შეასრულა და შეეხება მასალებს ვაზის ქართული ჯიშების შესწავლისათვის.

შეისწავლა რა საქართველოს ძირითადი ჯიშების ყვავილის ბიოლოგია ფერტილობასა და სტერილობასთან დაკავშირებით, მან გარკვეული დასტყისი მისცა ვაზის ქართული აბორიგენული ზოგიერთი ჯიშის გენეზისის შესწავლას. მუშაობის ეს სფერო შემდეგში გაამზირა ახალი შრომით, რომელიც მიეძღვნა ვაზის მასობრივი და კლონური სელექციის მეთოდიკის საკითხებს.

პროფესორები დ. სოსნოვსკი და ლ. დეკაპრელევიჩი დადებითად აფასებდნენ ამ შრომაში მოცემულ დასკვნებს, რომლებიც დიდ პერსპექტივებს ხედავნენ ვაზის სელექციაში მუშაობისათვის საქართველოში.

უკანასკნელ პერიოდში, როდესაც სოლომონ ჩოლოყაშვილი მთლიანად დაუკავშირდა მევენახეობის კათედრის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობას, ის ამავე დროს ინტენსიურად მუშაობდა მევენახეობის სახელმძღვანელოების შედგენაზე. გარდაცვალების წინა წლებში, საქართველოს აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევის შემდეგ, მან რამდენიმე მნიშვნელოვანი წარკვევი დაწერა და ქართული ვაზის შესახებ სათანადო მასალების სისტემაში მოყვანით საქართველოს მევენახეობის ისტორია საფუძვლიანად გაამდიღრა.

ამ პერიოდის შრომებიდან საყურადღებოა ნარკვევი — „მასალები საქართველოს XII—XIII საუკუნის ვაზის ჯიშების საკითხისათვის“, რომლის შედგენის დროს ის ძირითადად ეყრდნობოდა პროფ. ი. ჯავახიშვილის კაპიტალურ ნაშრომს — საქართველოს ეკონომიკური ისტორიის შესახებ და ზოგიერთი უცხოელი ავტორის მასალებს საქართველოს მევენახეობასა და ვაზის ჯიშებზე. საფუძვლად იღებს რა ვაზისათვის აუცილებელ ბუნებრივ პირობებს, მევენახეობასთან დაკავშირებულ ტერ-

მინოლოგიას, ვაზის აღზრუა-მოვლის ძველ წესებს, კულტურული და გარეული ვაზის მრავალი ფორმის არსებობას საქართველოში და მხცოვანი მეცნიერის — ივანე ჭავახიშვილის კვლევის მასალებს, სოლომონ ჩოლოყაშვილი მტკიცედ დგას იმ მოსაზრებაზე, რომ მევენახეობის ერთ-ერთ კერად მსოფლიოში საქართველოც უნდა იქნეს მიჩნეული. ის სიამოვნებით აღნიშნავს დასახელებული მეცნიერის დასკვნას მასი შრომიდან, რომელიც გაკეთებულია უცხოეთისა და ადგილობრივი მასალების გულმოლგინედ დამუშავება-შესწავლის შეჟეგად, რომ „ძველ საქართველოში მევენახეობა უაღრესად განვითარებული ყოფილა, რადგან ისეთ მაღალირისებიანი ყურძნის ჯიშების შექმნა, როგორც საფერავი, რქაშითელი და სხვა ჯიშებია, ქართველ მევენახეს მხოლოდ ხანგრძლივი, შევნებული. მიზან-შეწონილი და მზრუნველობით აღსავს მუშაობით შეეძლო“.

სოლომონ ჩოლოყაშვილს სწამდა. რომ საქართველოს შორეული წარსულის სოფლის მეურნეობის ისეთი დარგი, როგორიც მევენახეობაა, უდავოდ უნდა ჩაითვალოს მატერიალური კულტურის ერთ-ერთ საუკეთესო ძეგლად. ამიტომ მან მიზნად დაისახა საქართველოს „ოქროს ხანის“ მევენახეობიდან ვაზის ჯიშებზე შეჩერებულიყო, როგორც ამ დარგის ყველაზე უტიყუარ მაჩვენებლებზე; ვაზის ჯიში მას მიაჩნდა ადამიანის მრავალი წლის მზრუნველობის პროდუქტად და ამ დარგის კულტურულ დონეს თვით აღამიანის კულტურის დონეს უკავშირებდა, რომ ჩამორჩენილი ერი ვაზის პრიმიტიული ჯიშებით კმაყოფილდება, ხოლო მაღალი კულტურის ერი მაღალხარისხოვანი პროდუქციის მომცემ ჯიშებს აშენებს.

დაინტერესდა რა ძველ საქართველოში ვაზის ჯიშების გამორკვევით, მან, ამავე დროს, კარგად იცოდა, რომ წერილობითი ძეგლები ასეთი თემის დასამუშავებლად არ არსებობდა. მაგრამ მეცნიერული კვლევის მეთოლების არსებულ არსენალში მოხერხებულად მოძებნა ისეთი მეთოდები, რომელთა საშუალებით პირნათლად დასძლია ეს რთული ამოცანა და ნაწილობრივ მაინც შეძლო აღედგინა XII—XIII საუკუნის მევენახეობის ვითარება და ვაზის ჯიშები.

დასახელებულ შრომას მეთოდიეურ საფუძვლად უდევს  
გეოგრაფიული პრინციპი, გიშის აბორიგენობა, მორფოლოგიუ-  
რი ნაშან-თვისებები, ისტორიული და ლინგვისტიკურ-ტილო-  
ლოგიური რკვევის მასალები. სხვაგვარ მეთოდებს ის უნდობ-  
ლობით უყურებდა მტკიცე მასალის უქონლობის გამო. დაწ-  
მუნებული იყო, რომ ცალკეულად აღებული ეს მეთოდები სავ-  
სებით საიმედო მასალას ვერ იძლეოდა, ამიტომ, მოსალოდნელი  
შეცდომის თავიდან ასაცილებლად, მის მიერ გამოყენებული  
მეთოდების შედეგად გამოვლინებულ მასალებს მაშინ მიიჩნევ-  
და საიმედოდ, თუ მეთოდთა ერთობლიობა ამის საფუძველს  
მისცემდა; ის ერთი მეთოდის გამოყენების შედეგად მიღებულ  
მასალებს არ ეყრდნობოდა.

მან კარგად იცოდა გეოგრაფიული პრინციპის გამოყენების როლი ფლორის წარმომადგენელთა სისტემაში მოსაყვანას, გარკვეულ ტერიტორიაზე მონათესავე მცენარეთა შორის ცვალებადობის დასაღვენად, დამახასიათებელი ნიშან-თვისებების გამოსამუდავნებლად და ყველა ამის საფუძველზე დაჯგუფების დასაზუსტებლად. ამსათანავე, ის გეოგრაფიულ პრინციპს ქვლევაში იზოლირებულად არ იყენებდა და მჭიდროდ უკავშირებდა ეკოლოგიურ პირობებს. საქართველოს შეილმა კარგად იცოდა, რომ მისი სამშობლოს მცირე გეოგრაფიულ არეს მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობები ახასიათებდა და ეკოლოგიურ-გეოგრაფიული პრინციპის გამოყენება ქვლევის დროს მას საიმედო მასალას მისცემდა, ის კარგად ხელავდა საქართველოს ბუნებრივი პირობების ნაირსახეობის ფონზე ვაზის ჯიშების დაჯგუფებას და ლოკალიზაციას, რასაც შემთხვევითი მოვლენებით არ ხსნიდა და ეკოლოგიური პირობებით საზღვრავდა; ცხადია, ამ შემთხვევაში აღამიანის როლსაც არ ივიწყებდა ვაზის ჯიშების ჩამოყალიბების პროცესში და მათ მტკიცედ დამკვიდრებაში ცალქეული რაიონების ოპტიმალური პირობების შესაბამისად. სოლომონ ჩოლოყაშვილი ამ რჩევის დროს კარგად იმარჯვებდა იმ ცნობილ დებულებას, რომ, რაც უფრო ოპტიმალურია ეკოლოგიური პირობები ბოლო არსებობისათვის, მთ უფრო ჯიში მტკიცე და გამოიწყება.



ამით მან ნათელი მოპტინა ვაზის ჯიშების ბიოლოგიურ თა-  
 ვისებურებებს საქართველოს სხვადასხვა ეკოლოგიურ პირო-  
 ბებში და საბოლოოდ დასკვნა, რომ საქართველოს ვაზის ჯი-  
 შების დიდ უმრავლესობას შორეული ისტორია აქვს.

ამასთანავე, უკეთებს რა ფართო ანალიზს ქართული ვაზის  
 ჯიშების მორფოლოგიურ ნიშან-თვისებებს, სოლომონ ჩოლო-  
 ყაშვილი აღნიშნავს, რომ უმეტესობა, ძირითადად, ადგილობ-  
 რივი წარმოშობისაა — აბორიგენული და ენდემური ჯიშებია.  
 დასახელებული მეთოდების გამოყენების საფუძველზე იძლე-  
 ვა ისეთი ჯიშის აღწერას, რომლებიც გავრცელებული იყო  
 ძველ საქართველოში, კერძოდ, XII საუკუნეში.

სოლომონ ჩოლოყაშვილი სინაულით აღნიშნავს, რომ ამ  
 ჯიშების შესწავლა არ ამოიწურება ძველ საქართველოში ვაზის  
 ჯიშთა ასორტიმენტით, მაგრამ ამ სიაში სხვა ჯიშების შეტანის  
 საფუძველი მას არ გააჩნდა.

შრომას — „მასალები საქართველოს XII—XIII საუკუ-  
 ნის ვაზის ჯიშების საკითხისათვის“ — სხვა მნიშვნელობაც  
 აქვს; მასში დაყენებული საკითხების მიხედვით, რომლებიც ამ-  
 ჟამად გადაწყვეტას ვერ ნახულობენ, საინტერესო მიმართულე-  
 ბა და გზები ისახება მომავალი მუშაობისათვის საქართველოს  
 მევენახეობის ისტორიულ თემებზე.

სოლომონ ჩოლოყაშვილი კარგად იცნობდა მევენახეობის  
 მდგომარეობას მსოფლიო მასშტაბით, ადვილად ამჩნევდა იმ  
 ცვლილებებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მევენახეობის აგ-  
 როტექნიკასთან და ჯიშთმცოდნეობასთან დაკავშირებული სა-  
 კითხების გაგებაში და გადაჭრაში. ადვილად ამჩნევდა იმასაც,  
 თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ცოდნის გავრცელებას მო-  
 სახლეობაში და მაღალური ციური კადრების მომზადებას  
 საქართველოს მევენახეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ამ მიზნით, თავისი მომავალი მუშაობისათვის, მან მტკი-  
 ცედ დაგეგმა კაპიტალური სახელმძღვანელოს შექმნა ქართულ  
 ენაზე, რომლის გამოცემა ნავარაუდევი ჰქონდა ხუთ წიგნად.  
 აქედან პირველი წიგნი — ზოგადი ნაწილისათვის, გამოიცა  
 1937 წელს. მასში მოცემულია მევენახეობის მოკლე მიმოხილ-  
 ვა უცხოეთსა და ჩვენში, ვაზის ორგანოები, მათი ანატომია და

ფიზიოლოგია, ვაზის ბიოლოგიური ფაზები და ბუნებრივი ფაზები. მეორე წიგნი — ამპელოგრაფია, გამოიცა 1939 წელს. დანარჩენი ტომების გამოცემას ხელი შეუშალა ჯერ ომშა, შემდეგ კი ავტორის სიკვდილმა.

მესამე ტომს უთმობდა ვენახის გაშენებას, მოვლასა და ნიაღაგის დამუშავებას; მეოთხე ტომში უნდა გაეშუქებინა საკითხები ვაზის დაზიანებასთან, მაგნებელ-დაავალებებთან და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებთან დაკავშირებით; ხოლო მეხუთე ტომს უთმობდა მევენახეობის დარაიონებას, მეურნეობის ორგანიზაციას და შრომის ორგანიზაციის საკითხებს.

ამ სახელმძღვანელოს შედგენით იმდენად იყო გატაცებული სოლომონ ჩოლოყაშვილი, რომ მას გაღაწყვეტილი ჰქონდა ხუთივე წიგნის ორ წელიწადში დამთავრება და გამოცემა.

ამ შრომების გამოცემისათვის იყენებდა იმდროისათვის ცნობილ სახელმძღვანელოებს. პირველი ტომის შედგენისათვის მან თარგმანის სახით გამოიყენა ზოგიერთი ნაწილი ა. ბაბოსა და კ. მახის მევენახეობის სახელმძღვანელოდან; სხვა წიგნებიდან მისთვის საინტერესო ნაწილის თარგმანს რედაქციის უკეთებდა და ავსებდა საქართველოს პირობებში დაგროვილი მასალით. ასეთივე მეთოდით, მან გამოაქვეყნა მევენახეობის მოკლე სახელმძღვანელო ტექნიკუმებისათვის, რომლის შედგენას საფუძვლად ედო შანკრენის შრომა.

მევენახეობის სრული კურსის სახელმძღვანელოს მეორე წიგნი — ჯიშთმცოდნეობა, ორიგინალურია და, ძირითადად, აღგილობრივ მასალებზეა აგებული. თუ პირველი წიგნის უმეტეს ნაწილს მონოგრაფიული ხასიათი აქვს, მეორე წიგნში საკითხები გაშუქებულია უფრო კონკრეტულად, სახელმძღვანელოს ფარგლებში. უნდა აღინიშნოს, რომ ხუთივე წიგნი მას დაგეგმილი ჰქონდა მონოგრაფიების სახით. ამას აღნიშნავს კიდეც ავტორი მეორე წიგნის წინასიტყვაობაში, რომ ამპელოგრაფიის მონოგრაფიის შეღვენა ქართულ ენაზე მომავალი საქმეა.

მეორე წიგნი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმით, რომ მასში გაშუქებულია ორი საკითხი — ამპელოგრაფია წარსულში და ჯიში და მისი მნიშვნელობა, თუმცა შრომის მნიშვნელოვანი ნაწილი დათმობილი აქვს სხვა საკითხებსაც — სტანდარ-

ტულ ასორტიმენტს, ჭიშის აღწერის მეთოდს და თვით ჭიშების აღწერა-დახსაიათებას საწარმოო მიმართულების მიხედვით.

ევროპის მევენახეობის ქვეყნების მიხედვით შრომის და-საწყისი შეიცავს ამპელოგრაფიის განვითარების მოკლე ისტო-რიულ მიმოხილვას ავტორის მოღვაწეობამდე. მიუხედავად იმ მრავალი ცვლილებებისა, რომლებიც მოხდა ამ უკანასკნელ პერიოდში და მოხდება მომავალშიაც ამპელოგრაფიასთან ჟა-კავშირებით, მეორე წიგნის ეს ნაწილი აზვილად არ მოძველ-დება და ინტერესით იქნება გამოყენებული ამ დარგის ყველა პერიოდის მოღვაწის მიერ.

რაც შეეხება მეორე საკითხს — ჭიშსა და მის მნიშვნელო-ბას, რომლითაც იწყება სპეციალური ამპელოგრაფია, გაშუქე-ბულია ფართო ასპექტში და, რაც მთავარია, მასში განსაკუთ-რებით ხაზგასმულია გარემო ფაქტორების გავლენა ჭიშზე.

როგორც სოლომონ ჩოლოყაშვილი აღნიშნავს, ფრანგი შევლევარი და მევენახეობის დიდი ოსტატი ოლივიერ დე სერა ხაზგასმით ამბობდა, რომ „კლიმატი, ნიაზაგი და ჭიში მევენა-ხეობის საძირკველიათ“.

სოლომონ ჩოლოყაშვილი ამ სამ ფაქტორს უმატებს მეო-თხეს — აგროტექნიკას, რითაც მნიშვნელოვნად წინ სწევს ჭი-შის მნიშვნელობის გაგების საკითხს. ის არ უარყოფს ჭიშის გავლენას პროდუქციის რაოდენობაზე და ხარისხზე და ჭიშს წაყვან მნიშვნელობასაც აკუთვნებს ზოგჯერ, მაგრამ მას არას-დროს არ იხილავს ჰავის, ნიაზაგისა და აგროტექნიკისაგან მო-წყვეტით. ის ამას ადასტურებს მრავალი მაგალითით როგორც უცხოეთის მევენახეობის პრაქტიკიდან, ისე ჩვენში დაგროვი-ლი მასალის საფუძველზე.

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ის აგროტექნიკური ლონისძიებების გავლენას ჭიშზე, რაც გამოიხატება ზრდის შე-სუსტებაზე ან გაძლიერებაზე, მტევნის გაღიღებაზე ან შემცი-რებაზე, ქირურგიული ოპერაციების და საძირების გავლენა-დამწიფებაზე, შაქრიანობაზე, მტევნის სიკუმსეზე, მარცვლის სიმსხოზე და სხვ. მსგავსი მაგალითები ცხადჰყოფენ აგროტექ-ნიკის უდიდეს გავლენას ჭიშზე.

ამ საკითხების გაშუქებას სოლომონ ჩოლოყაშვილი უკავშირდებს მევენახის წინაშე დაყენებულ უდიდეს და ურთულეს ამოცანებს ჯიშების შერჩევაში ბუნებრივი პირობების მიხედვით და აგროტექნიკის გაუმჯობესებისადმი ჯიშური თვისებების, გარემო ფაქტორებისა და საწარმოო მიმართულების შესაბამისად.

ვფიქრობთ, რომ ამ საკითხის ასე საინტერესოდ გაშუქება დასახელებულ წიგნში იმითაცაა გამოწვეული, რომ სოლომონ ჩოლოყაშვილი ჯიშს ყოველთვის ღიღ მოთხოვნილებას უყენებდა მაღალხარისხოვანი პროდუქციის მიღების თვალსაზრისით. ის იყო მკაცრი მომთხოვნი ხარისხის მიმართაც და, ამასთანავე, მისი კარგი გამგებიც.

სოლომონ ჩოლოყაშვილი საუკეთესო დეგუსტატორად ითვლებოდა და, საპასუხისმგებლო დეგუსტაციის დროს, ის არა მარტო მოწინავე მეღვინეთა რიგებში იდგა სხვადასხვა ტიპის ღვინოების შეფასებისას, არამედ ზოგიერთი ცნობილი მეღვინე ფრთხილობზა კიდეც თავისი დასკვნის გაკეთებას პირველად სადეგუსტაციო ნიმუშზე, რაღაც იცოდა, რომ თუ სოლომონ ჩოლოყაშვილი უმართებულოდ მიიჩნევდა მის დასკვნას, მაშინვე მიახლოდა — „ნუ მიჰქარავო“ და შეიძლებოდა ის უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩენილიყო.

სოლომონ ჩოლოყაშვილის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობა აღნიშნული მასალებით არ ამოიწურება. მან ირაკლი რცხილაძესთან ერთად შედგინა საქართველოს მევენახეობის რუკა რაიონებისა და სასოფლო-საბჭოების მიხედვით, რომლებიც თავის დროზე საინტერესო მასალებს შეიცავდნენ და მეთოდური თვალსაზრისით დღესაც მნიშვნელობას არ კარგავენ.

სიცოცხლის ბოლო წლებში, საქართველოს მეცნიერებათა აყალემიაში მუშაობის დროს, მისი ხელმძღვანელობით დაწყებული იყო მევენახეობა-მეღვინეობის ტერმინოლოგიისა და ბიბლიოგრაფიული ცნობარის შედგენა, რაც პირნათლად შეასრულა აგრ. ი. ანდრონიკაშვილმა, რომელიც სოლომონ ჩოლოყაშვილშა ამ მიზნით მოიწვია კათედრაზე.

მევენახეობა-მეღვინეობის ტერმინოლოგია ი. ანდრონიკა-შვილმა დაასრულა ს. ჩოლოყაშვილის სიცოცხლეშივე და გა-

დასცა კიდეც მას, ხოლო მევენახეობა-მეღვინეობის ბიბლიოთი გრაფიული ცნობარი, რომელიც შეიცავს 13000-მდე დასახელებას, დამთავრდა გვიან, მისი გარდაცვალების შემდეგ, და ამჟამად ინახება საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.



ს. ჩოლოყაშვილი მევენახეობის კათედრის  
კაბინეტში მუშაობის დროს

\* \* \*

სოლომონ ჩოლოყაშვილი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა სტუდენტებში. ზუსტად იცავდა მათთან შინაურული, მეგობრული და ოფიციალური დამოკიდებულების საზღვრებს. ერიდებოდა გადაჭარბებულ სიახლოეს, მაგრამ არც შორს იჭერდა თავს. ამით ის ადვილად აღწევდა მათში უფროსისა და ხელმძღვანელისაზმი სიყვარულსა და პატივისცემს. მისი ლექციები დიდ ინტერესს იწვევდა მსმენელებში და მეცალინეობის დამთავრების შემდეგ ის ადვილად ვერ ახერხებდა აუდიტორი-

იდან გასვლას სტუდენტებისაგან დასმული შეკითხვების გამო. ისიც სიამოვნებით უსმენდა და პასუხობდა მათ.

პროფესორის გარკვეულ და ზომიერ სიამაყესთან ერთად მისი ასეთი თავმძაბლობა, უბრალოება, სტუდენტებისათვის საქმიანი ანგარიშის გაწევა ახალგაზრდებს მოსწონდათ. მათ სწავლათ სოლომონ ჩოლოყაშვილი, როგორც პედაგოგი და ოღმზრდელი; ადვილად მიენდობოდნენ და სჯეროდათ მისი, ამით მყარდებოდა საჭირო ურთიერთობა ოღმზრდელსა და ოსაზრდელს შორის. ასეთივე იყო ის ახალგაზრდა თანამშრომლებშიც. არასდროს არ დამავიწყდება მისი დავალება და დარიგება, რაც დაკავშირებული იყო ჩემს დოცენტის წოდებასთან და პირველი შესავალი ლექციის წაკითხვასთან.

დამავალა, ორ კვირაში დამეწერა შესავალი ლექცია და წამეკითხა, თან გამეოთვალისწინებინა ლექციის დრო და საკითხები, რომ მასალა ადრე არ ამომეწურა და უხერხეულ მდგომარეობაში არ აღმოვჩენილიყავი.

ორმხრივი განცდის ქვეშ მოვექეცი; ერთი მხრივ, სასიხარულო იყო საპასუხისმგებლო დავალება, რომ ხელმძღვანელი ნდობას მიცხადებს, ჩემი წინსვლით არის დაინტერესებული, ხოლო, მეორე მხრივ, არასასიამოვნო — დაწერილი ლექცია უნდა წამეკითხა. სტუდენტობიდანვე მახსოვდა, რომ თვითონ სოლომონი ლექციის დროს არავითარ ნაწერს არ შემოიტანდა აუდიტორიაში. ლექციის წინასწარ შედგენილი სქემა მას ჯიბეში ედო, რომელშიაც იშვიათად თუ ჩაიხელავდა. მახსოვს ისიც, რომ დაწერილი ლექციის წაკითხვა რა გავლენას ახდენდა მსმენელებზე, როგორ მოქმედებდა სტუდენტთა განწყობილებაზე.

ლექციის დაწერის წინააღმდეგი არ ვიყავი, მაგრამ გადაცემა ზეპირად მსურდა, ამის შესახებ მისთვის არ გამიმულავნებია, შევულექი მზადებას და ლექცია დაწერე.

ლექციის გარჩევისას მრავალ დარიგებასთან ერთად აღნიშნა, რომ კარგად ვერ გაარჩია, ვკითხულობდი თუ ზეპირად გადაცემდი. სინამდვილეში ლექცია ზეპირი გადაცემისათვის მოვამზადე, მაგრამ მისი პატივისცემის ნიშნად ხშირად ვფურცლავდი საერთო რვეულს და ვიხედებოდი შიგ.

სოლომონ ჩოლოყაშვილის ეს დავალება და მასთან დაკავშირებული განცდები იყო და არის ერთ-ერთი დაუკიტყარი ეპიზოდი ჩემს ცხოვრებაში.

\* \* \*

სოლომონ ჩოლოყაშვილს უყვარდა მეგობრები. მას სძულდა მრუდე ქცევის ადამიანი არა მარტო მასთან ურთიერთობაში, არამედ სხვების მიმართ შემჩნეულ მღიქვნელობასა და ორპირობაში. მათდამი ასეთ განწყობილებას ის არც დამალავდა და საჭირო დროს აგრძნობინებდა. დიდი მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა ბესარიონ ოქროპირიძესთან. ორივეს სწამდათ და სჯერდათ ერთმანეთის, ძმებივით დაახლოებული და ურთიერთშეთამამებული, ერთმანეთის ჭირისა და ლხინის განუყრელი მოზიარენი იყვნენ.

მათი ურთიერთობიდან ჩემთვის დაუკიტყარია ერთი შემთხვევა. ბესარიონ ოქროპირიძე გამოჩენილი პროფესორი — თერაპევტი იყო. 1944 წლის იანვარში ჩემი ოჯახის წევრი ავადგახდა, ეს გაიგო სოლომონმა, მოვიდა სანახვად და თან თავისი მეგობარი ოქროპირიძე მოიყვანა. ჩევნ პატარა, სახელდახელოდ მოწყობილ მეგობრულ მაგიდას შემოუსქელით. ისეთი მეგობრული ურთიერთობა და განწყობილება შეიქმნა, რომ ეს პატარა თავშეყრილობა დიდ ბანკეტში არ გაიცვლებოდა. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ავადმყოფობა სერიოზული არ აღმოჩნდა. ამ პატარა, ოთხკაციან მაგიდას სოლომონ ჩოლოყაშვილი ხელმძღვანელობდა. ის და ბესარიონი ღვინის სმაშიაც მეგობრობდნენ; ორთავეს უყვარდათ ღვინო. მათ შორის შხოლოდ ის განსხვავება იყო, რომ სოლომონი ცოტ-ცოტას სვამდა და ამით უფრო სიამოვნებას განიცდიდა, ხოლო ბესარიონს, პირიქით, ცოტა არ ყოფნიდა. იმ საღამოს სოლომონი და ბესარიონი განსაკუთრებით თავისუფლად გრძნობდნენ თავს და ერთმანეთისაღმი დამოკიდებულებით მარტო ხანში შესულნი, დარბაისელნი კი არ იყვნენ, არამედ ჭაბუკებიც და სტუდენტებიც.

აღსანიშნავია, რომ სოლომონი იმდროისათვის ახლად არ-

ჩეული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად და მიღებული ჰქონდა საპატიო ნიშნის ორდენი. ამასთან დაკავშირებით, ბესარიონი სადღეგრძელოში თხუნჯობით მიმართავს მას: „ყველაფერს მიაღწიე და ყველაფერი მოიპოვე, ადრევე პროფესორობა, ახლა კადემიკოსობა მოგცეს და ორდენითაც დაგაჭილდოვეს, დაგრჩენია მხოლოდ ერთი, რომელიც არ მიგილია — ეს არის საქიოს პასპორტი — და აგიც მალე მიგელოსო“. სოლომონმაც მისებურად უპასუხა, და წასასვლელად მოემზადნენ. მან უცებ პატარა პორტფელი ბეჭზე დაირტყა და ოქვა, — რაშია საქმე, რაღაც მჩხვლეტს და კიბო არ მიჩნდებოდესო, ამანაც ხუმრობით ჩაიარა. მაგრამ მისი ხუმრობა საბედისწერო აღმოჩნდა. ორი თვის შემდეგ სოლომონ ჩოლოყაშვილი პროფ. ბესარიონ იქრობარიძის კლინიკაში იწვა, როცა გამოვკითხე ბესარიონს ავადმყოფობის მდგომარეობის შესახებ, მან პირველად ის თხუნჯობა გაიხსენა, როდესაც სოლომონს საქიოში წასვლისათვის პასპორტის აღება უწინასწარმეტყველა. მაშინ ვიხუმრე, ახლა კი საეჭვო არაფერია და ყველაფერი ნათელია. ამის თქმაზე მოხუცს თვალები ცრემლებით ევსებოდა და სული ყელში ებჯინებოდა.

1944 წლის ივნისში სოლომონ მიხეილის ძე ჩოლოყაშვილი მძიმე ავადმყოფობით გარდაიცვალა.

ჩენ იმდროისათვის შედარებით ახალგაზრდა თანამშრომლები ვერ ვამჩნევდით მის ნაადრევად გარდაცვალებას. ვფიქრობდით, რომ თითქმის ყველაფერი მოასწრო თავის ცხოვრებასა და მუშაობაში, მაგრამ სინანულის გრძნობით უნდა აღინიშნოს, რომ ის გარდაიცვალა თავის შემოქმედებითი მუშაობის აყვავების პერიოდში.

ზოგიერთისათვის ასეთი პერიოდი ადრე დგება, ზოგიერთისათვის კი გვიან. სოლომონ ჩოლოყაშვილის საბოლოო მუშაობის ასპარეზი შედარებით გვიან ჩამოყალიბდა და განისაზღვრა, როდესაც მთელი თავისი ინტელექტუალური შესაძლებლობა მევენახეობის კათედრას და მისი საქმიანობის შემდგომ გაუმჯობესებას დაუკავშირა. მკაფიოდ შემოიხაზა მისი მუშაობის გეგმაც, რომელიც კვლევითი მუშაობის შემდგომ გალ-

მავებას, პედაგოგიური მუშაობის უფრო სრულყოფილად დახ-  
ვეწას და სახელმძღვანელოების შექმნას მოანდომა.

10 ივნისს სამუდამოდ გამოთხოვებისას მევენახეობის კა-  
თედრის კოლექტივმა მისი ცხედრის წინაშე პირობა დადო,  
რომ პირნათლად ემსახურებოდა მის დაწყებულ საქმეს, არა  
მარტო გულმოდგინედ გაუწევდა მზრუნველობას მის მიერ  
დატოვებულ კარგ ტრადიციებს, არამედ ყოველმხრივ განვი-  
თარებდა მათ.

და მართლაც, სოლომონ მიხეილის ძე ჩოლოყაშვილმა თა-  
ვისი თანამშრომლებისა და აღზრდილების გონებაში ჩათესა  
ძსეთი რაციონალური მარცვლები, რომლებიც ამოკიაფდება სა-  
ქართველოს მევენახეობის შემდგომი აღმავლობის გზაზე.

---

საზოგადოებრივი რედაქტორი პროფ. მ. რამიშვილი  
გამომცემლობის რედაქტორი ა. არაბელიძე  
მხატვარი ტ. შეყილაძე  
მხატვრული რედაქტორი გ. ქუთათელაძე  
ტექნიკური ე. აბდუშელიშვილი  
კორექტორი ჭ. ნანუკაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/III-65 წ. ქაღალდის  
ზომა 84×108<sup>1</sup>/<sub>32</sub>. ნაბეჭდი თაბახი 1,43 საალრ.-საგა-  
მომც. თაბახი 1,14  
უ. 00255 ტირაჟი 1500 შეკვ. № 548  
ფასი 3 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.  
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვ. სიტყ. სახელმწ.  
კომიტ. მთ.პოლიგრაფმრეწვ. თბ. სტ. № 12, უშ. ჩბ. 8,  
Тбилисская типография № 12 Главполиграфпрома

Валериан Ираклиевич Кантария

Академик Соломон Чолокашвили

(на грузинском языке)

---

Издательство  
„Сабчота Сакартвело“

Тбилиси, ул. Марджанишвили, 5  
1965

